კომპანია აღიარებს ფინანსურ აქტივს გადფოლტებულად, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, კომპანიამ შეიძლება ასევე მიიჩნიოს ფინანსური აქტივი გადფოლტებულად, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ კომპანია ნაკლებად სავარაუდოა, რომ მიიღებს საკონტრაქტო თანხებს სრულად, სანამ არ გაითვალისწინებს კომპანიის საკრედიტო მდგომარეობის გადახედვას. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების აღდგენის შესახებ.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება კომპანიის მიერ ფლობილი კრედიტის გამძლეობის მქონე მესამე პირის გაუთვალისწინებლად.

ამოუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

ამოუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ კომპანიამ მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა მხარეს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, კომპანია აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ კომპანიამ შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი კუმულატიური მოგებისა ან ზარალისა და მიღებული და მისაღები ანაზღაურების ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით ასახულად კლასიფიცირებულ სავალო ინსტრუმენტში ინვესტიციის აღიარების შეწყვეტისას, ჯამური მოგება ან ზარალი, რომელიც მანამდე დაგროვილი იყო ინვესტიციების გადაფასების რეზერვში, გადაკვალიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება

შპს კაზ ფროფერტი მენეჯმენტი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ხელახალი შესყიდვა აისახება ან გამოიქვითება პირდაპირ კაპიტალიდან. კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ყიდვისას, გაყიდვისას, ემისიისას თუ გაუქმებისას მოგების ან ზარალის ასახვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ ხდება.

ფინანსური ვალდებულებები კომპანიის ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც წარმოდგენილია აღებული სესხებითა და სავაჭრო და სხვა გადასახდელებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება აქციონერთა კაპიტალში მათი გამოცხადების პერიოდში. საანგარიშო პერიოდის შემდგომ გამოცხადებული დივიდენდები განიხილება, როგორც „შემდგომი მოვლენა“ და განმარტებულია შესაბამის ქვეთავში. გარიგებები აქციონერებთან აღირიცხება კაპიტალში.

წინასწარ გადახდილი გადასახადები. წინასწარ გადახდილი გადასახადები აისახება ნომინალური ღირებულებით, შეფასებული აღუდგენელი თანხების რეზერვის გამოკლებით. მოგების გადასახადისგან განსხვავებული გადასახადები აისახება ნომინალური ღირებულებით. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გროვდება ერთიან საგადასახადო ანგარიშზე საქართველოს შემოსავლების სამსახურში. ანგარიშსწორება ხორციელდება ნეტო საფუძველზე.

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მოსაზრებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებასთან დაკავშირებით

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, დირექტორებს ევალებათ შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას არ იყო გამოყენებული დაშვებები ან განსჯები, რომლებმაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მოხსენებულ თანხებზე.

შპს კაზ ფროფერტი მენეჯმენტი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

5. შეწყვეტილი ოპერაციები

ბიზნესის აქტივები გადაცემის ტრანზაქცია

2021 წლის 9 ნოემბერს ჰოლდინგურმა კომპანიამ - შპს „სმარტ ენერჯიმ“, მიიღო გადაწყვეტილება, განეხორციელებინა თავისი შვილობილი კომპანიის, შპს „კაზ ფროფერტი მენეჯმენტი“ რეორგანიზაცია. რეორგანიზაციის საგანი იყო იგივე ჰოლდინგის ქვეშ ახალი კომპანიის, შპს „სმარტ ტრანსის“ დაფუძნება. რეორგანიზაციის მიზანი იყო საწვავის ტრანსპორტირებიდან და მანქანების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლის ნაკადების გაყოფა.

რეორგანიზაციის შედეგად შპს „კაზ ფროფერტი მენეჯმენტმა“ შპს „სმარტ ტრანსს“ გადასცა შემდეგი მუხლები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან:

	31 დეკემბერი 2021
აქტივები	
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები	1,290,696
გაცემული სესხები	2,113,102
სულ გრძელვადიანი აქტივები	3,403,798
მიმდინარე აქტივები	
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	10,445
სულ მიმდინარე აქტივები	10,445
სულ აქტივები	3,414,243
კაპიტალი	
საწესდებო კაპიტალი	535,981
გაუნაწილებელი მოგება	2,878,262
სულ კაპიტალი	3,414,243
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	3,414,243

შეწყვეტილი ოპერაციებიდან 2021 წლის მოგების ანალიზი

2021 წლის მოგებაში შესული შედეგები შეწყვეტილი ოპერაციებიდან მოცემულია ქვემოთ:

	2021
ამონაგები	
საიჯარო შემოსავალი	93,644
სულ ამონაგები	93,644
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(142,345)
საპროცენტო შემოსავალი	152,703
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება	(70,353)
წლის მოგება	33,649
წლის სხვა სრული შემოსავალი	-
სულ სრული შემოსავალი	33,649

შეწყვეტილი ოპერაციების ფულადი ნაკადების ანალიზი

ეს ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს რეკონსტრუირებულ შედარებით ინფორმაციას ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული 12 თვიანი პერიოდისთვის, რადგან შეუძლებელია შეწყვეტილი ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების გამოჯვანა.

შპს კაზ ფროფერტი მენეჯმენტი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

6. ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში კომპანიის მთლიან ამონაგებს შეადგენდა:

	2021	2020
ამონაგები საწვავის ტრანსპორტირების სერვისიდან	8,842,328	5,771,691
საიჯარო შემოსავალი	-	45,851
სულ	8,842,328	5,817,542

მთლიანი შემოსავლის 99% კომპანიამ მიიღო ერთი მომხმარებლისგან - საქართველოში წამყვანი ნავთობის საცალოდ მოვაჭრისათვის საწვავის ტრანსპორტირების მომსახურების გაწევის გზით.

7. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში კომპანიის ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, შეადგენდა:

	2021	2020
ხელფასები და ბონუსები	2,696,401	2,200,071
საპენსიო ხარჯები	51,943	44,887
სულ	2,748,344	2,244,958

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის საოპერაციო ხარჯები შედგებოდა:

	2021	2020
მოკლევადიან იჯარასა და დაბალფასიან აქტივებთან დაკავშირებული ხარჯები	1,553,668	153,825
საწვავის ხარჯი	1,490,523	1,006,962
სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება და მოვლა	338,599	279,819
დაზღვევა	89,175	89,006
სხვა	111,397	56,416
სულ	3,583,362	1,586,028

შპს კაზ ფროფერტი მენეჯმენტი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

	სატვირთო მანქანები	სხვა	სულ
1 იანვარი 2020	3,775,546	39,224	3,814,770
შესყიდვა	822,839	23,129	845,968
რეალიზაცია	(766,482)	-	(766,482)
31 დეკემბერი 2020	3,831,903	62,353	3,894,256
შესყიდვა	1,094,398	8,901	1,103,299
რეალიზაცია	(115,757)	(5,152)	(120,909)
გასვლა აქტივების გადაცემის ტრანზაქციის შედეგად	(1,489,460)	-	(1,489,460)
31 დეკემბერი 2021	3,321,084	66,102	3,387,186
1 იანვარი 2020	2,095,352	13,917	2,109,269
წლიური ცვეთა	784,772	6,932	791,704
რეალიზაცია	(748,933)	-	(748,933)
31 დეკემბერი 2020	2,131,191	20,849	2,152,040
წლიური ცვეთა	833,856	7,276	841,132
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	(106,834)	(4,839)	(111,673)
გასვლა აქტივების გადაცემის ტრანზაქციის შედეგად	(198,764)	-	(198,764)
31 დეკემბერი 2021	2,659,449	23,286	2,682,735
31 დეკემბერი 2020	1,700,712	41,504	1,742,216
31 დეკემბერი 2021	661,635	42,816	704,451

10. გაცემული სესხები

მხარე	ვალუტა	ვადა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	USD	2026	9%	5,124,809	95,914
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	GEL	2023	12.3%	73,057	-
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	USD	2021	7%	-	1,128,317
გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი				(24,537)	-
სულ				5,173,329	1,224,231

სესხები გაიცა დაკავშირებულ მხარეებზე და არცერთი მათგანი არ არის 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გაცემული სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებულ წლისათვის, კომპანიამ გაცემული სესხებიდან მიიღო 82,987 ლარისა და 18,574 ლარის საპროცენტო შემოსავალი, შესაბამისად.

შპს კაზ ფროფერტი მენეჯმენტი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

11. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო დებიტორული დავალიანება შეადგენს 517,334 ლარსა და 358,347 ლარს. სავაჭრო დებიტორული დავალიანების 99% არის ერთი კონტრაგენტისგან.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო დებიტორული დავალიანება არ არის ვადაგადაცილებული და გაუფასურებული.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის თანხების ამოღების საშუალო პერიოდი შეადგენდა 21 და 22 დღეს, შესაბამისად.

12. ფული და ფულის ექვივალენტები

		31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	საპროცენტო განაკვეთი	340,989	483,633
მოთხოვნამდე დეპოზიტები ბანკში	0,5%-4%	976,020	509,167
სულ ფული და ფულის ექვივალენტები		1,317,009	992,800

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის კომპანიამ ფულად ნაშთებზე მიიღო 17,300 ლარისა და 14,726 ლარის საპროცენტო შემოსავალი, შესაბამისად.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ფული და ფულის ექვივალენტები, რომლებიც დენომინირებულია ლარში, შეადგენდა 749,916 ლარსა და 178,733 ლარს, შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში განთავსებული ნაშთების დეტალები წარმოდგენილია შენიშვნაში #17.

ბანკში განთავსებული არც ერთი ნაშთი ვადაგადაცილებული არ არის. მათზე ზარალის რეზერვის აღიარება არ მომხდარა მათი მოკლევადიანი ბუნებიდან გამომდინარე. საბანკო ნაშთებში შედის საქართველოში, ბანკებში მოქმედი მიმდინარე ანგარიშები და გამოიყენება კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის დასაფინანსებლად.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ბანკებში განთავსებული ნაღდი ფულის უმეტესობა განთავსებულია „ფიტჩ რეიტინგის“ მიერ მოკლევადიანი B და გრძელვადიანი BB- რეიტინგის მქონე ბანკებში.

13. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება

დივიდენდები

2021 და 2020 წლის განმავლობაში, კომპანიამ გამოაცხადა 924,357 ლარისა და 728,733 ლარის დივიდენდები, შესაბამისად. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის გამოცხადებული არგადახდილი დივიდენდები შეადგენდა 58,125 ლარს, ხოლო გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები შეადგენდა 866,232 ლარს. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ყველა გამოცხადებული დივიდენდი იყო გადახდილი.

რეორგანიზაცია

2021 წლის 9 ნოემბრის მოხდა კომპანიის რეორგანიზაცია და ახალი კომპანია - შპს „სმარტ ტრანსი“ დაფუძნდა იმავე ჰოლდინგის, შპს „სმარტ ენერჯის“ ქვეშ. რეორგანიზაციის შედეგად შპს „კაზ ფროფერტი მენეჯმენტმა“ გადასცა საწესდებო კაპიტალი 535,981 ლარის ოდენობით და გაუნაწილებელი მოგება 2,878,262 ლარის ოდენობით.

შპს კაზ ფროფერტი მენეჯმენტი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

გადაცემული საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგების ოდენობა განისაზღვრა გადაცემული აქტივების პროპორციულად. ტრანზაქციის დეტალები მოცემულია შენიშვნაში #5. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება შეადგენდა 208,239 ლარსა და 1,294,699 ლარს შესაბამისად.

14. ნასესხები სახსრები

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები თანხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

ნასესხები სახსრები:	ვალუტა	%	ვადა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნასესხები სახსრები ფინანსური ინსტიტუტებიდან	აშშ დოლარი	8%	2026	466,445	-
ნასესხები სახსრები ფინანსური ინსტიტუტებიდან	ევრო	7%	2026	5,195,570	-
სულ ნასესხები სახსრები:				5,662,015	-
მოკლევადიანი ნაწილი				1,067,352	-
გრძელვადიანი ნაწილი				4,594,663	-
სულ ნასესხები სახსრები:				5,662,015	-

ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები კომპანიას აკისრებს ფინანსურ და არაფინანსურ კოვენანტებს. 2021 წლის განმავლობაში კომპანიას არ დაურღვევია აღნიშნულ სესხებთან დაკავშირებული კოვენანტები.

ნასესხები სახსრების მოძრაობა 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის იყო შემდეგი:

	მოძრაობა
წმინდა ვალი 2020 წლის 1 იანვარს	132,602
დარიცხული პროცენტი	-
გადახდილი ძირი თანხა	(141,725)
გადახდილი პროცენტი	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან	9,123
წმინდა ვალი 2020 წლის 31 დეკემბერს	-
ძირის დამატება	6,132,396
დარიცხული პროცენტი	191,175
გადახდილი ძირი თანხა	(407,196)
გადახდილი პროცენტი	(191,175)
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(63,185)
წმინდა ვალი 2021 წლის 31 დეკემბერს	5,662,015

შპს კაზ ფროფერტი მენეჯმენტი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები (ფინანსური ვალდებულებები)	409,064	141,640
მიღებული ავანსები (არაფინანსური ვალდებულება)	-	45,363
სულ	409,064	187,003

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის საშუალო საკრედიტო პერიოდი შეადგენს 27 და 23 დღეს, შესაბამისად.

16. ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულების შეფასება ანალიზდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დაკავებული დონით: (1) პირველი დონე არის შეფასება კვოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) იდენტური აქტივებისა თუ ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე, (2) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ტექნიკა, სადაც ყველა მნიშვნელოვან მონაცემზე დაკვირვება აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში შესაძლებელია პირდაპირ (ანუ ფასებით) ან ირიბად (ანუ ფასების გავლით), და (3) მესამე დონის შეფასება არის ისეთი შეფასება, რომელიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიზაციისას იყენებს სამართლიანი ღირებულების იერარქიაზე დაფუძნებულ შეფასებებს. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებულია დაკვირვებადი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვნად კორექტირება ესაჭიროება, ეს შეფასება მესამე დონისაა. შესაფასებელი მონაცემის მნიშვნელობა დგინდება სამართლიანი ღირებულების შეფასებით მთლიანობაში.

ფულისა და ფულის ექვივალენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა პირველი დონის მონაცემებით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ღირებულებისა - მესამე დონის მონაცემებით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მოსალოდნელი, სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც დისკონტირდება ახალი, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის მატარებელი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი გაცემული სესხის სამართლიანი ღირებულება უდრის 5,716,348 ლარსა და 119,933 ლარს. სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები მათ სამართლიან ღირებულებებთანაა მიახლოებული.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებულგანაკვეთიანი, მითითებული ვადიანობის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება გამოთვლილ იქნა მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათ სამართლიან ღირებულებებთანაა მიახლოებული. ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება უდრის 5,929,290 ლარს.

კაპიტალის რისკის მართვა - კომპანია კაპიტალის მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეძლოს მოქმედი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავედროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით. კომპანიის ხელმძღვანელობა კაპიტალის სტრუქტურას რეგულარულად მიმოიხილავს. შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, კომპანია აბალანსებს კაპიტალის ზოგად სტრუქტურას დივიდენდების გადახდით, ახალი სესხების აღებით თუ ძველი სესხების დაბრუნებით.

შპს კაზ ფროფერტი მენეჯმენტი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა გადასახდელებსა და საიჯარო ვალდებულებას. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიის სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა ფული და ფულის ექვივალენტები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	14	1,317,009	992,800
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	13	517,334	358,347
გაცემული სესხები	12	5,173,329	1,224,231
სულ ფინანსური აქტივები		7,007,672	2,575,378
		31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნასესხები სახსრები	16	5,662,015	-
საიჯარო ვალდებულებები		97,542	79,425
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	17	409,064	141,640
სულ ფინანსური ვალდებულებები		6,168,621	221,065

კომპანიის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოქმედი ძირითადი რისკებია სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

გეოგრაფიული რისკი. კომპანიის აქტივები ძირითადად საქართველოში მდებარეობს და მისი ბიზნეს-გეგმები კრიტიკულადაა დამოკიდებული ქვეყანაში სტაბილურობასა და წესრიგზე. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, კომპანია ექვემდებარება საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკებს.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც კომპანია სარგებლობს. კომპანიის ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებული ინსტრუმენტები არ გამოიყენება.

	31 დეკემბერი 2021		31 დეკემბერი 2020	
	აშშ დოლარი 1 = 3.0976 GEL	ევრო 1 = 3.5040 GEL	აშშ დოლარი 1 = 3.2766 GEL	ევრო 1 = 4.0233 GEL
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	260,503	306,590	365,752	448,315
გაცემული სესხები	5,124,809	-	1,128,317	-
სულ ფინანსური აქტივები	5,385,312	306,590	1,494,069	448,315
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	5,192,190	469,825	-	-
საიჯარო ვალდებულებები	44,193	-	45,334	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	4,492	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,240,875	469,825	45,334	-
სულ წმინდა პოზიცია	144,437	(163,235)	1,448,735	448,315

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის კურსის 20%-იანი მერყეობის შემთხვევაში 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს კაზ ფროფერტი მენეჯმენტი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს საანგარიშგებო დღეს უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებულ ფულად კომპონენტებს:

31 დეკემბერი 2021

	ზეგავლენა	
	ლარი/აშშ დოლარი 20%	ლარი/ევრო 20%
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	28,887/(28,887)	(32,647)/32,647

31 დეკემბერი 2020

	ზეგავლენა	
	ლარი/აშშ დოლარი 20%	ლარი/ევრო 20%
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	289,747/(289,747)	89,663/(89,663)

საპროცენტო განაკვეთის რისკი – საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ცვლადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება უარყოფითად აისახება კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანიაზე საპროცენტო განაკვეთის შეზღუდული რისკი ვრცელდება, რადგან იგი სახსრებს სესხულობს მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით.

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ერთი, ძირითადი დაშვების ცვლილების ეფექტს, როდესაც სხვა დაშვებები უცვლელია. სინამდვილეში, აღნიშნულ დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის რეალური კორელაცია არსებობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მგრძნობიარობა არაწრფივია და შედეგებიდან უფრო დიდი ან მცირე ზეგავლენის ინტერპოლირება ან ექსტრაპოლირება არ შეიძლება.

მგრძნობელობის ანალიზში არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. გარდა ამისა, ბაზრის რეალური მოძრაობის სხვადასხვა მომენტში კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, კომპანიის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს ბაზრის რყევის ზემოქმედების მართვას. როდესაც საინვესტიციო ბაზარი სხვადასხვა მანიშნებელ დონეს ცილდება, ხელმძღვანელობას შეუძლია გაყიდოს ინვესტიციები, შეცვალოს საინვესტიციო პორტფელის გადანაწილება და სხვა დამცავი ზომები მიიღოს. შედეგად, დაშვების ცვლილებას რეალურად შეიძლება ეფექტი არც ჰქონდეს ვალდებულებებზე, მაშინ, როდესაც აქტივები ბალანსზე საბაზრო ღირებულებითაა ასახული. ასეთ ვითარებაში, ვალდებულებებისა და აქტივების გაზომვის სხვადასხვა მეთოდმა შეიძლება აქციონერთა კაპიტალის რყევა გამოიწვიოს. მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვებს შორისაა ბაზრის ჰიპოთეტური მოძრაობის გამოყენება იმ პოტენციური რისკის საჩვენებლად, რომელიც რეალურად მხოლოდ კომპანიის თვალსაზრისის ასახავს უახლოეს მომავალში ბაზრის ცვლილების შესახებ. ამ უკანასკნელის პროგნოზირება კი საკმარისი სანდოობით შეუძლებელია. ერთ-ერთი შეზღუდვა ისიცაა, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი იდენტური სახით იცვლება.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე მოქმედებს საკრედიტო რისკი, რომელიც იმის რისკია, რომ კლიენტი დროულად ვერ დაფარავს კომპანიის მიმართ არსებულ დავალიანებას.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ზემოქმედებას. თუმცა მოთხოვნების ამოღებაზე ეკონომიკური ფაქტორები მოქმედებს, ხელმძღვანელობის აზრით, უკვე აღრიცხული რეზერვების მიღმა ზარალის დიდი რისკი არ არსებობს.

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია მაღალია იმის გამო, რომ კლიენტების ბაზა მცირე და ურთიერთდაკავშირებულია. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების 99% არის ერთი კონტრაგენტისგან.

შპს კაზ ფროფერტი მენეჯმენტი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების გადახდას. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია კომპანიის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი საკონტრაქტო დაფარვის ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, იმ უახლოესი ვადის საფუძველზე, როდესაც კომპანიას შეიძლება გადახდა მოეთხოვოს.

	1 წელზე ნაკლები	1-5 წელი	სულ
31 დეკემბერი 2021			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	409,064	-	409,064
საიჯარო ვალდებულება	1,471,041	5,884,163	7,355,204
ნასესხები სახსრები	73,683	33,559	107,242
	1,953,788	5,917,722	7,871,510
	1 წელზე ნაკლები	1-5 წელი	სულ
31 დეკემბერი 2020			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	141,640	-	141,640
საიჯარო ვალდებულება	44,895	44,895	89,790
	186,535	44,895	231,430

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებს მიეკუთვნება მფლობელები, შვილობილი და კომპანიასთან საერთო საკუთრებაში და კონტროლის ქვეშ მყოფი პირები და ძირითადი მენეჯმენტის წევრები. დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ დადონ გარიგებები, რომლებიც არ შეუძლიათ არადაკავშირებულ მხარეებს, ხოლო დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებები არ შეიძლება განხორციელდეს იმავე პირობებით, როგორც გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეებთან ურთიერთობის ყოველი შესაძლო შემთხვევის განხილვისას ყურადღება ეთმობა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიას ჰქონდა შემდეგი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:

	2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი				
	საბოლოო აქციონერი	საბოლოო მშობელი კომპანია	ერთობლივ კონტროლქვეშ მყოფი საწარმოები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	9,518	-	-	-	9,518
გაცემული სესხი	-	5,100,722	-	72,714	5,173,436
ამონაგები მომხმარებლებთან	68,477	-	85,425	-	153,902
გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	-	249,434	-	3,556	252,990
საპროცენტო შემოსავალი	-	-	-	-	-

შპს კაზ ფროფერტი მენეჯმენტი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი		
	საბოლოო აქციონერი	ერთობლივ კონტროლქვეშ მყოფი საწარმოები	სულ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	22,642	9,035	31,677
გაცემული სესხი	-	1,224,231	1,224,231
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	45,173	21,628	66,801

მენეჯმენტის ანაზღაურება

მენეჯმენტის ანაზღაურებამ, რაც თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებლითაა წარმოდგენილი, 2021 და 2020 წლებში შეადგინა 1,746,442 ლარი და 1,371,258 ლარი, შესაბამისად.

18. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

გარანტიები – 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნდა რაიმე მატერიალური ვალდებულება.

სამართლებრივი დავები - 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ იყო ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ საქმეში.

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაციისა და ხშირი ცვლილების შესაძლებლობა. გარდა ამისა, ტრანზაქციითაა შეფასება საგადასახადო ორგანოებისა და ხელმძღვანელობის მხრიდან შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს და ტრანზაქციები საგადასახადო ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენოს. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო შემოწმებისათვის ღიაა 2019-2021 წლები.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება და საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებით ხასიათდება. საქართველოში ამჟამად მოღვაწე მეწარმეთა წინაშე დგას სხვა სამართლებრივი და ფისკალური გამოწვევებიც. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. ამ წლების განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმა მოსალოდნელი.

გარდა ამისა, 2020 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება ახალი კორონავირუსული დაავადება (კოვიდ-19), რასაც 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მიანიჭა პანდემიის სტატუსი. ბევრი ქვეყნის მიერ კოვიდ-19-ის გავრცელების შესაკავებლად მიღებული ზომები მრავალი კომპანიისათვის მნიშვნელოვან საოპერაციო შეფერხებებს იწვევს და დიდ ზეგავლენას ახდენს გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. სიტუაციის სწრაფი განვითარების გამო, ამან შეიძლება ბევრ სექტორში მოღვაწე კომპანიის ბიზნესზე იმოქმედოს, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, შეაფერხოს ბიზნესის ოპერირება საწარმოო პროცესის შეწყვეტის ან ინფრასტრუქტურის დახურვის, მიწოდების ქსელის გაწყვეტის, პერსონალის კარანტინის, შემცირებული მოთხოვნისა და დაფინანსების მოძიების გართულების გამო. შედეგად კომპანიაზე კოვიდ-19-ის მზარდი ეფექტი შეიძლება აისახოს გლობალურ ეკონომიკაზე და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე მისი უარყოფითი ზემოქმედების გამო. თუმცა კოვიდ-19-ის პანდემიას ეფექტი არ ჰქონია კომპანიის ოპერაციებზე, კომპანიის კლიენტები მინიმალურად შეზღუდულ მთავრობამ. კომპანიის

შპს კაზ ფროფერტი მენეჯმენტი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგებისთვის
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ბიზნესზე კოვიდ-19-ის ეფექტის მნიშვნელობა დიდწილადაა დამოკიდებული ხანგრძლივობასა და მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე პანდემიის ეფექტზე.

19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 21 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ ბრძანებას დონეცკის სახალხო რესპუბლიკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის აღიარების შესახებ. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, რაც გადაიზარდა ქვეყნებს შორის სრულმასშტაბიან ომში.

ამ მოვლენების შემდეგ აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა გაახანგრძლივეს სანქციები რუსი ჩინოვნიკების, ბიზნესმენების და კომპანიების შესახებ. ასეთმა განვითარებამ რუსული ბიზნესებისთვის შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო კაპიტალისა და საექსპორტო ბაზრების ხელმისაწვდომობა, რუსული რუბლის შესუსტება, კაპიტალის ბაზრების კლება და სხვა უარყოფითი ეკონომიკური შედეგები.

კომპანიის მენეჯმენტი აკვირდება ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში განვითარებულ მოვლენებს და იღებს ზომებს, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარებისთვის უახლოეს მომავალში. თუმცა, ამ მოვლენების შედეგებმა და მასთან დაკავშირებულმა სამომავლო ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ოპერაციებზე.

2022 წელს კომპანიამ გასცა დივიდენდები დამფუძნებლებზე: შპს „სმარტ ენერჯის“ და შპს „ეფკა ექთივითი ჯორჯიაზე“ 599,125 ლარისა და 599,125 ლარის ოდენობით.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ დაამტკიცა და გამოსაშვებად ნება დართო 2022 წლის 30 სექტემბერს.